



USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოში აივ
პრევენციის პროექტი

მაღალი რისკის ჯგუფებში პრევენციული ინტერვენციების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები

აპრილი, 2013 წელი

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს
(USAID) მიერ დაფინანსებული "საქართველოში აივ პრევენციის პროექტის" ფინანსური და
ტექნიკური მხარდაჭერით

სარჩევი

აკრონიმები.....	3
რეზიუმე.....	4
შესავალი.....	6
კონცეპტუალური მიდგომა	7
მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია და მონაცემთა წყაროები:.....	8
განფასების მეთოდოლოგია	9
პრევენციული პაკეტი	9
ნებაყოფლობითი კონსულტირების ხარჯის შემადგენელი ელემენტები.....	10
ტესტირების ღირებულების შემადგენელი ელემენტები.....	10
თანასწორობის ტრენინგის ხარჯის გამოთვლა.....	10
„აუთორიზაციის“ ოპერაციული ხარჯი	11
„თანასწორობაზე დაფუძნებული ინტერვენციის“ ხარჯის გამოთვლა.....	11
ზედნადები ხარჯის გამოთვლა	11
შედეგები.....	13
ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები.....	14
გამოცდილი ორგანიზაცია (თბილისი)	14
გამოცდილი ორგანიზაცია (სხვა ქალაქები).....	14
ახალბედა ორგანიზაცია (სხვა ქალაქები).....	15
ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე მამაკაცები	15
თბილისი.....	16
სხვა ქალაქები	16
კომერციული სექსის მუშაკი ქალები	16
გამოცდილი ორგანიზაცია (თბილისი)	16
გამოცდილი ორგანიზაცია (სხვა ქალაქები).....	16
ახალბედა ორგანიზაცია (სხვა ქალაქები).....	16
შეჯამება	17
გამოყენებული ლიტერატურა.....	20
დანართი 1: მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტი ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებისათვის (ინმ).....	21

აკრონიმები

IDU	ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელი
FSW	კომერციული სექსის მუშაკი ქალი
MSM	ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე მამაკაცი
PDI	თანასწორებზე დაფუძნებული ინტერვენცია
IEC	ინფორმაცია, განათლება, კომუნიკაცია

რეზიუმე

წინამდებარე კვლევის მიზანია, შეფასდეს მაღალი რისკის ჯგუფებში (ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები, სექს-მუშაკი ქალები, ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე მამაკაცები) პრევენციული ინტერვენციების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები საქართველოში.

განფასების ინსტრუმენტი შეიქმნა იმისთვის, რომ დაინტერესებულმა პირებმა/დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა შეძლოს სხვადასხვა რისკის ჯგუფისათვის განკუთვნილი პრევენციული ინტერვენციის პაკეტების განფასება. კერძოდ, ინსტრუმენტი დაეხმარება დაინტერესებულ მხარეებს, შეაფასონ ფინანსური საჭიროებები და მოახდინონ მაღალი რისკის ჯგუფებში პრევენციული ინტერვენციების გასახორციელებლად აუცილებელი რესურსების მობილიზება.

მოცემულ დოკუმენტში შეფასებულია ის ფინანსური რესურსები, რომლებიც საჭიროა საქართველოში მაღალი რისკის ქცევის მქონე სამ ჯგუფში პრევენციული ინტერვენციების განსახორციელებლად.

კვლევა წარმოგვიდგენს ერთეულის ფასს შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- ✓ რისკ-ჯგუფები (ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები, სექს-მუშაკი ქალები, ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე მამაკაცები)
- ✓ მაღალი რისკის ჯგუფის მოსაცავდ გამოყენებული სტრატეგია (სერვისის მიწოდება ოფისში, „აუთორიზი“, თანასწორებზე დაფუძნებული ინტერვენცია)
- ✓ ადგილმდებარეობა (დედაქალაქი, სხვა ქალაქები)
- ✓ პრევენციული ინტერვენციების განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციის გამოცდილება

ფინანსური გათვლების შედეგები გვიჩვენებს, რომ

- სხვადასხვა რისკ ჯგუფისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი განსხვავებულია
- ერთი და იგივე რისკ ჯგუფისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი განსხვავებულია თბილისსა და სხვა ქალაქებში
- პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი დამოკიდებულია იმ არასამთავრობო ორგანიზაციის გამოცდილებაზე, რომელიც პრევენციულ პაკეტს აწვდის
- პრევენციული პაკეტის ერთეულის ფასი განსხვავებულია სხვადასხვა სტრატეგიისთვის (ა) სერვისის მიწოდება ოფისში, ბ) „აუთორიზი“ გზით რისკ ჯგუფის მოცვა და გ) ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლების შემთხვევაში, „თანასწორებზე დაფუძნებული ინტერვენცია“)

თითოეული რისკ ჯგუფისთვის გათვლების შედეგად მიღებული პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასები ქალაქების, გამოყენებული სტრატეგიის და ორგანიზაციის გამოცდილების მიხედვით შეჯამებულად მოცემულია ცხრილში ქვემოთ:

ცხრილი 1: პრევენციული პაკეტის ერთეულის ფასი რისკის ჯგუფების, ქალაქების, გამოყენებული სტრატეგიის და ორგანიზაციის გამოცდილების მიხედვით (ლარი)

რისკ ჯგუფი	თბილისი			სხვა ქალაქები				
	გამოცდილი ორგანიზაცია			გამოცდილი ორგანიზაცია			ახალბედა	
	ოფისი	აუთრიჩი	PDI	ოფისი	აუთრიჩი	PDI	ოფისი	აუთრიჩი
IDU	106	119	133	102	116	126	93	94
FSW	91	104		89	101		72	73
MSM	124	149		116	140			

ყველა სტრატეგიის შეწონილი საშუალო ფასი ქალაქების და ორგანიზაციის გამოცდილების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ

ცხრილი 2: პრევენციული პაკეტის ერთეულის ფასი რისკის ჯგუფების და ქალაქების მიხედვით (ლარი)

რისკ ჯგუფი	თბილისი	სხვა ქალაქები		
	გამოცდილი ორგანიზაცია	გამოცდილი ორგანიზაცია	ახალბედა	
IDU	120	115	93	
FSW	101	99	72	
MSM	134	136		

სხვადასხვა რისკ-ჯგუფისთვის განკუთვნილი პრევენციული ინტერვენციების ერთეულის ფასში განსხვავება იმით აიხსნება, რომ თითოეული ჯგუფისთვის განსხვავებული სტრატეგია და სერვისები გამოიყენება.

განსხვავება გამოცდილი და ახალბედა ორგანიზაციების მიერ მიწოდებული პრევენციული ინტერვენციების ერთეულის ფასში გამოწვეულია იმით, რომ ამ ორგანიზაციებს სერვისების განსხვავებული პროტოკოლები აქვთ.

შესავალი

წინამდებარე კვლევის მიზანია, შეფასდეს მაღალი რისკის ჯგუფებში (ინექციური ნრკოტიკების მომხმარებლები, სექს-მუშაკი ქალები, ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე მამაკაცები) პრევენციული ინტერვენციების განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები საქართველოში.

დოკუმენტი წარმოგიდგენს განსხვავებული გამოცდილების მქონე ორგანიზაციების მიერ სამი სხვადასხვა რისკის ჯგუფისათვის განკუთვნილი ინტერვენციული პაკეტების მისაწოდებლად საჭირო ფინანსური რესურსების უხეშ გათვლებს.

მაღალი რისკის ჯგუფებზე მიმართული პრევენციული სტრატეგიების განხორციელების გაიდლაინების ან პრევენციული ღონისძიებების გასაძლიერებლად რეკომენდაციების შემუშავება კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა.

წინამდებარე ანგარიში და Excel-ის ბაზაზე შემუშავებული განფასების ინსტრუმენტი, რომელიც ამ დოკუმენტის დანართს წარმოადგენს, შეიქმნა იმისთვის, რომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა შეძლოს სხვადასხვა რისკის ჯგუფისათვის განკუთვნილი პრევენციული ინტერვენციის პაკეტების განფასება. კერძოდ, ინსტრუმენტი დაეხმარება დაინტერესებულ მხარეებს, შეაფასონ ფინანსური საჭიროებები და მოახდინონ მაღალი რისკის ჯგუფებში პრევენციული ინტერვენციების გასახორციელებლად აუცილებელი რესურსების მობილიზება.

ფინანსური გათვლები გაკეთდა ყველა რისკ ჯგუფისთვის ცალ-ცალკე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ერთსა და იმავე რისკ ჯგუფთან სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს, მიზანშეწონილად ჩაითვა, გათვლები გაკეთებულიყო სხვადასხვა ორგანიზაციიდან ამოღებული ინფორმაციის მიხედვით ცალ-ცალკე.

კვლევა წარმოგიდგენს ერთეულის ფასს შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- ✓ რისკ-ჯგუფები (ინექციური ნრკოტიკების მომხმარებლები, სექს-მუშაკი ქალები, ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე მამაკაცები)
- ✓ მაღალი რისკის ჯგუფის მოსაცავდ გამოყენებული სტრატეგია (სერვისის მიწოდება ოფისში, „აუთორიჩი“ თანასწორებზე დაფუძნებული ინტერვენცია)
- ✓ ადგილმდებარეობა (დედაქალაქი, სხვა ქალაქები)
- ✓ პრევენციული ინტერვენციების განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციის გამოცდილება

კონცეპტუალური მიდგომა

წინამდებარე გათვლებში გათვალისწინებულია ყველა იმ რესურსის და ღონისძიების ღირებულება, რაც პრევენციული ინტერვენციის განხორციელებას/მაღალი რისკის ჯგუფებისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდებას სჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ზოგიერთი რესურსი არასამთავრობო ორგანიზაციას დონაციის სახით მიეწოდებოდეს (მაგ: კონდომი, ტესტ-სიტემა და ა.შ). გათვლებში არ შედის კაპიტალური ხარჯი (შენობის, სატრანსპორტო საშუალებების კაპიტალური ხარჯი)

წინამდებარე გათვლები მოიცავს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ ხარჯებს. პირდაპირ ხარჯში შედის ყველა იმ რესურსის ღირებულება, რომელიც პირდაპირ ხმარდება პრევენციულ პაკეტში შემავალი ინტერვენციების შესრულებას, არაპირდაპირი ხარჯი კი მოიცავს იმ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებული არ არის ამა თუ იმ პრევენციული ღონისძიების განხორციელებასთან, მაგრამ ამ ხარჯის გარეშე პრევენციული ღონისძიება ვერ განხორციელდება. არაპირდაპირ ხარჯში შედის ოფისის არენდის, ელექტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი აირის, კომუნიკაციის, ტრანსპორტის შენახვის და სხვა მიმდინარე ხარჯი; არაპირდაპირი ხარჯები აგრეთვე მოიცავს პრევენციული ინტერვენციების მართვის და ადმინისტრირების ხარჯებსაც (კოორდინატორის, ორგანიზაციის დირექტორის, ფინანსური დირექტორის, ბუღალტერის, აგრეთვე დამხმარე პერსონალის) ხარჯსაც. არაპირდაპირი ხარჯები მოცემული პრევენციული ინტერვენციებისთვის ზედნადებ ხარჯებს წარმოადგენენ.

მაღალი რისკის ჯგუფებში პრევენციული ინტერვენციის განფასება მოხდა ერთი წლის პერიოდისთვის ერთი ბენეფიციარისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ განფასდა წელიწადში ერთიანი პრევენციული ინტერვენციის ღირებულება ინექციური ნარკოტიკების ერთი მომხმარებლისთვის, ერთი კომერციული სექს მუშაკი ქალისთვის და ერთი ჰომოსექსუალური ქცევის მქონე მამაკაცისთვის. ანუ გამოითვალა ერთეულის ფასი.

ერთიანი პრევენციული პაკეტის ღირებულების გამოსათვლელად განფასდა პაკეტში შემავალი ყველა პრევენციული ინტერვენცია ცალ-ცალკე.

მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია და მონაცემთა წყაროები:

წინამდებარე ფინანსური გათვლებისთვის საჭირო პროგრამული და ფინანსური ინფორმაცია შეგროვდა 2012 წლის ივნისსა და აგვისტოში წინასწარ მომზადებული სტანდარტული ინსტრუმენტის (დანართი 1, 2, 3) მეშვეობით. მონაცემთა შეგროვების მიზნით ჩადრმავებული ინტერვიუები ჩატარდა შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან:

- საქართველოს აივ პრევენციის პროექტი (GHPP)
- საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“
- საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“
- „ინდიგო“
- „ზიანის შემცირების ქსელი“

მონაცემთა შესაგროვებლად წინასწარ მომზადებული ინსტრუმენტი არასამთავრობო ორგანიზაციებს ელექტრონულად დაეგზავნათ და ეთხოვათ ინსტრუმენტის შევსება. მოწოდებული ინფორმაციის ვალიდაცია კი მოხდა ორგანიზაციებში ხელმეორედ განხორციელებული ვიზიტის შედეგად.

ინფორმაცია პერსონალის ხელფასების, და დაწესებულებების ზედნადები ხარჯების შესახებ ამოღებულია შესაბამისი დაწესებულებების ფინანსური საბუღალტრო დოკუმენტაციიდან.

ტესტ-სისტემების და ტესტირებისთვის საჭირო სახარჯი მასალის ერთეულის ფასად აღებულია 2012 წლის საბაზრო ფასი.

კონდომების, ლუბრიკანტების და სტერილური შპრიცების ერთეულის ფასად აღებულია 2012 წლის საბაზრო ფასი.

განფასების მეთოდოლოგია

პრევენციული პაკეტი

ერთიანი პრევენციული პაკეტი ყველა რისკ-ჯგუფისთვის ძირითადად ერთნაირი ღონისძიებებისგან/სერვისებისგან შედგება, თუმცა, რისკ-ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია პაკეტის ზოგიერთი შემადგენელი ელემენტი ან მათი რაოდენობა. მაგალითად, ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის (IDU) პრევენციულ პაკეტში შედის ტესტირება აივ ინფექციაზე, B და C ჰეპატიტებზე, მაშინ, როცა B და C ჰეპატიტებზე ტესტირება არ ტარდება კომერციულ სექს-მუშაკ ქალებში (FSW) და ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე მამაკაცებში (MSM). ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის ერთ-ერთ პრევენციულ ღონისძიებად ითვლება სტერილური შპრიცების დარიგება, მაშინ, როცა ეს პრევენციული ღონისძიება არ გამოიყენება კომერციული სექსის მუშაკი ქალებისთვის და ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე მამაკაცებისთვის. ასევე განსხვავებულია ერთი წლის განმავლობაში ერთი IDU-თვის, ერთი FSW-თვის, ერთი MSM-თვის საჭირო კონდომის რაოდენობა. ერთიანი პრევენციული პაკეტის შემადგენელი ელემენტები სხვადასხვა რისკის ჯგუფისთვის მოცემულია ქვემოთ **ცხრილი 3**

ცხრილი 3: პრევენციული პაკეტის შემადგენელი ელემენტები სხვადასხვა რისკის ჯგუფისთვის

	VCT	ტესტირება HIV	ტესტირება HCV	ტესტირება HBV	შპრიცები	კონდომები	ლუბრიკანტები	IEC, მასალები
IDUs	✓	✓	✓	✓	200 ცალი	50 ცალი		4 ცალი
FSWs	✓	✓				60 ცალი		4 ცალი
MSM	✓	✓				50 ცალი	50 ცალი	4 ცალი

ნებაყოფლობით კონსულტირებაში შედის კონსულტირება აივ ზე, B და C ჰეპატიტებზე, ტუბერკულოზზე, სქესობრივად გადამდებ დაავადებებზე და ასევე მიმართვა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში.

აივ ინფექციაზე, ჰეპატიტ C-ზე და ჰეპატიტ B-ზე ტესტირებაში იგულისხმება **მხოლოდ პირველადი ტესტირება სწრაფი ტესტით და არ მოიაზრება კონფირმაციული ტესტირება. შესაბამისად, პაკეტის ღირებულებაში არ შედის კონფირმაციული ანალიზის ღირებულება.**

საინფორმაციო, საგანმანათლებლო, საკომუნიკაციო (IEC) მასალებში იგულისხმება სხვადასხვა ტიპის მასალის: ლიფლეტი, ბუკლეტი, ბროშურა და ა.შ., მათი დიზაინი, ბეჭდვა, გავრცელება.

განფასების დროს გაკეთდა დაშვება, რომ პიროვნება, რომელიც მიეკუთვნება რისკის ჯგუფს (IDU, MSM, FSW), მოცულად ითვლება მაშინ, თუ იგი ღებულობს პრევენციულ პაკეტში შემავალ ყველა სერვისს და არა რომელიმე ერთს ან მხოლოდ რამოდენიმეს. თუმცა, განფასების ინსტრუმენტი, რომელიც შემუშავდა (თანდართული ექსელის ფაილი) საშუალებას იძლევა საჭიროებისამებრ პაკეტში შემავალი რომელიმე სერვისი ან საერთოდ იქნეს ამოღებული (მაგ: შპრიცები ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებში), ან შეიცვალოს პაკეტში შემავალი ელემენტების ერთეულის რაოდენობა (კონდომების, ბუკლეტების რაოდენობა).

ნებაყოფლობითი კონსულტირების ხარჯის შემადგენელი ელემენტები

ნებაყოფლობითი კონსულტირების ხარჯი შედგება კონსულტანტის და სოციალური მუშაკის ანაზღაურებისგან.

იმის გათვალისწინებით, რომ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციაში კონსულტანტი იღებს მოჭრილ თვიურ ხელფასს და მისი ანაზღაურება არ ხდება ჩატარებული კონსულტირების რაოდენობის მიხედვით, ნებაყოფლობითი კონსულტირებისთვის კონსულტანტის ანაზღაურება გაანგარიშდა იმ დროის მიხედვით, რა დროსაც ახმარს კონსულტანტი კონსულტირების ჩატარებას. ნებაყოფლობითი კონსულტირების სამუშაო ხანგრძლივობა განისაზღვრა 1.5 საათით. ეს დრო მოიცავს როგორც პრე-, ასევე პოსტ-ტესტ კონსულტირებას. კონსულტანტის თვიური ხელფასი გაიყო თვეში სამუშაო საათების რაოდენობაზე (168სთ) და გამრავლდა 1.5 საათზე. თვეში სამუშაო დღედ აღებულია 21 დღე, დღეში სამუშაო საათების რაოდენობად ჩათვლილია 8 საათი.

სოციალური მუშაკის ანაზღაურება ნებაყოფლობითი კონსულტირებისთვის დაანგარიშდა კონსულტანტის ანაზღაურების მსგავსად.

ტესტირების ღირებულების შემადგენელი ელემენტები

HIV, HCV და HBV-ზე ტესტირების ღირებულება შედგება სწრაფი ტესტის და ტესტის ჩასატარებლად საჭირო სახარჯი მასალის ღირებულებისგან. ტესტირების ხარჯში შედის აგრეთვე სამედიცინო ნარჩენების მართვის/გაუვნებელყოფის ხარჯიც.

ვინაიდან სწრაფი ტესტების გამოყენებით ტესტირებას ახორციელებს იგივე სოციალური მუშაკი, რომლის ანაზღაურებაც შედის კონსულტირების ხარჯში, ტესტირებას დამატებითი ხარჯი პერსონალისთვის არ გააჩნია.

თანასწორების ტრენინგის ხარჯის გამოთვლა

მიუხედავად იმისა, რომ თანასწორების სწავლება პირდაპირ არ არის დაკავშირებული პიროვნებისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდებასთან, ეს ღონისძიება ემსახურება მაღალი რისკის ჯგუფის მოზიდვას და ხელს უწყობს მაღალი რისკის ჯგუფების მოცვის გაზრდას. ამიტომ, აუცილებელია ამ ღონისძიების ხარჯი გათვალისწინებულ იქნას პრევენციული პაკეტის მთლიან ღირებულებაში. შესაბამისად, თითოეული რისკის ჯგუფისთვის არასამთავრობო ორგანიზაციებიდან შეგროვდა საჭირო ინფორმაცია და დაითვალა თანასწორთა ტრენინგის ფასი ერთ ბენეფიციარზე. თითოეული რისკის ჯგუფისთვის თანასწორთა სწავლების ღირებულება ერთ ბენეფიციარზე განისაზღვრა შემდეგი მეთოდოლოგიით:

ნაბიჯი 1: გამოითვალა ტრენინგის ხარჯი ერთი თანასწორგანმანათლებლისთვის.

ნაბიჯი 2: თანასწორგანმანათლებელ/კლიენტის სტანდარტული პროპორციის მიხედვით გაანგარიშდა ტრენინგის ხარჯი ერთი ბენეფიციარისთვის.

თანასწორგანმანათლებელი/კლიენტის სტანდარტულ პროპორციად UNAIDS-ის მიერ¹ რეკომენდებულია 1/10-1/20. წინამდებარე გათვლებისთვის გამოყენებულია პროპორცია 1/10, რაც იმას გულისხმობს, რომ ერთი თანასწორგანმანათლებელი საშუალოდ 10 ადამიანთან მუშაობს.

„აუთორიზაციის“ ოპერაციული ხარჯი

აუთორიზაციის სტრატეგიის განფასებისას დამატებით განფასდა და ხარჯში გათვალისწინებულია აუთორიზაციის საჭირო ოპერაციული ხარჯი (მძღოლის ანაზღაურება, საწვავის ხარჯი, სატრანსპორტო საშუალების შენახვის ხარჯი).

ტრანსპორტირების ხარჯი წარმოადგენს საწვავის ხარჯის და სატრანსპორტო საშუალების შენახვის ხარჯის ჯამს. სატრანსპორტო საშუალების შენახვის ხარჯი კი დაანგარიშდა სტანდარტული მეთოდოლოგიის გამოყენებით, როგორც საწვავის ხარჯის 15%².

„თანასწორებზე დაფუძნებული ინტერვენციის“ ხარჯის გამოთვლა

ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთათვის დამატებით განფასდა ე.წ. „თანასწორებზე დაფუძნებული ინტერვენცია“, რომელიც ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლების მოზიდვის ერთ-ერთ სტრატეგიას წარმოადგენს. ეს სტრატეგია გულისხმობს პიროვნებისთვის დამატებითი ფულადი წახალისების მიცემას თანასწორების რეკრუტირებისთვის. ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა მოზიდვის ეს მეთოდოლოგია ეფუძნება ე.წ. რესპოდენტზე დაფუძნებული შერჩევის (RDS) მეთოდოლოგიას.

„თანასწორებზე დაფუძნებული ინტერვენციის“- დროს თანასწორთა მოზიდვის მიზნით ერთი თანასწორისთვის მიცემული ანაზღაურება საშუალოდ შეადგენს 20 ლარს.

ზედნადები ხარჯის გამოთვლა

ვინაიდან მაღალი რისკის ჯგუფებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური დოკუმენტაცია/ანგარიშთა გეგმა არ იძლევა საშუალებას, გაიმიჯნოს ორგანიზაციის არაპირდაპირი და პირდაპირი ხარჯები და სტანდარტული მეთოდოლოგიით გამოითვალოს ორგანიზაციის ზედნადები ხარჯის პროცენტი, წინამდებარე გათვლებისთვის ზედნადები ხარჯის %-ის გასაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა შემდეგი მიდგომა: გამოითვალა 2011 წელს თითოეული ორგანიზაციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხარჯის პროპორცია პირდაპირი პერსონალის ხარჯთან მიმართებაში.

¹ UNAIDS, ADB; Costing Guidelines for HIV/AIDS Intervention Strategies; For use in estimating Resource Needs Scaling-up and Strategic Planning in the Asia/Pacific region, February, 2004

² WHO, GAVI Alliance; Immunization costing and financing: A tool and User Guide for Comprehensive Multi-Year Planning (cMYP)

მიღებული % გამოყენებულ იქნა ორგანიზაციის ზედნადების %-ად და დაედო ერთიანი პრევენციული პაკეტის პირდაპირ ხარჯებს. ზედნადებ ხარჯში შედის პროექტის მართვის და ადმინისტრირების ხარჯები, აგრეთვე ორგანიზაციის არაპირდაპირი ხარჯი (ოფისის რენტა, კომუნალური გადასახადები, კომუნიკაცია და ა.შ)

შედეგები

ერთიანი პრევენციული პაკეტის მიწოდების/პრევენციული ინტერვენციის ფასი განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რომელი სტრატეგია გამოიყენება მაღალი რისკის ჯგუფის მოსაცავად: ა) პიროვნება თავად მიმართავს ორგანიზაციას, თუ ბ) ხორციელდება „აუთორიზის“ გზით რისკის ჯგუფის მოცვა.

ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის პრევენციული პაკეტის ერთეულის ფასი დამატებით გამოითვალა მესამე სტრატეგიისთვის ე.წ. „თანსწორებზე დაფუძნებული ინტერვენცია“.

ერთიანი პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი განსხვავებულია სხვადასხვა სტრატეგიისთვის, რადგან **სხვადასხვა სტრატეგიას სხვადასხვა ოპერაციული ხარჯი აქვს.**

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ერთსა და იმავე რისკ-ჯგუფში (გარდა ჰომო/ბისექსუალური ურთიერთობის მქონე მამაკაცებისა) მომუშავე ორგანიზაციები რამოდენიმეა, ერთიანი პრევენციული პაკეტის ერთეულის ფასი გაითვალა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით და დოკუმენტში წარმოდგენილია ერთეულის ფასი სხვადასხვა დონის/გამოცდილების მქონე ორგანიზაციისთვის ცალ-ცალკე.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ვინაიდან ეს განფასება ქვეყნისთვის ტარდება და არა რომელიმე ერთი ორგანიზაციისთვის, წლის განმავლობაში თითოეული რისკის ჯგუფისთვის საჭირო სტერილური შპრიცების, კონდომების, ლიფლეტების და ბუკლეტების რაოდენობა სტანდარტიზირებულია. შესაბამისად, მათი რაოდენობა სტანდარტულად ერთი და იგივე იქნა აღებული ყველა ქალაქისთვის და ორგანიზაციისთვის, და ეფუძნება შესაბამისი რისკის ჯგუფებისთვის საჭირო რაოდენობას, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ 2011 წელს ერთსა და იმავე რისკის ჯგუფისთვის დარიგებული რაოდენობა სხვადასხვაა, ასევე განსხვავებულია ერთი და იგივე ორგანიზაციის მიერ ერთსა და იმავე რისკის ჯგუფისთვის სხვადასხვა ქალაქში დარიგებული კონდომების და საგანმანათლებლო მასალების რაოდენობა.

ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლები

გამოცდილი ორგანიზაცია (თბილისი)

წელიწადში ინექციური ნარკოტიკების ერთი მომხმარებლისთვის სტერილური შპრიცების საჭირო რაოდენობა -200-არის ის რაოდენობა³ რომელიც სტანდარტულად ითვლება წლის განმავლობაში ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთათვის საჭირო რაოდენობად.

ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის წლის განმავლობაში დასარიგებელი კონდომების რაოდენობა -50 - არის კონდომების ის საშუალო რაოდენობა, რომელიც უნდა დაურიგდეს ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელს, რომ ჩაითვალოს პრევენციული პაკეტით მოცულად, ანუ კონდომების საჭიროება წლის მანძილზე⁴. თუმცა ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ 2011 წელს საშუალოდ ერთი ინექციური ნარკოტიკის მომხმარებლისთვის თბილისში დარიგებული კონდომის რაოდენობა საშუალოდ უდრის 11.

თბილისში ინექციური ნარკოტიკების ერთი მომხმარებლისთვის ოფისში პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი წელიწადში შეადგენს 106 ლარს.

„აუთორიზის“ სტრატეგიის გამოყენებით თბილისში ინექციური ნარკოტიკების ერთი მომხმარებლისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი წელიწადში შეადგენს 119 ლარს.

თანასწორებზე დაფუძნებული ინტერვენციის სტრატეგიის გამოყენებით თბილისში ინექციური ნარკოტიკების ერთი მომხმარებლისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი წელიწადში შეადგენს 133 ლარს.

გამოცდილი ორგანიზაცია (სხვა ქალაქები)

გამოცდილი ორგანიზაციებისთვის სხვა დიდ ქალაქებში ინექციური ნარკოტიკების ერთი მომხმარებლისთვის ოფისში პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი წელიწადში შეადგენს 102 ლარს.

სხვა ქალაქებში ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით „აუთორიზის“ სტრატეგიის გამოყენებისას ინექციური ნარკოტიკების ერთი მომხმარებლისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი შეადგენს 116 ლარს.

³ Bradley Mathers, Louisa Degenhardt and Miriam Sabin; “We can protect drug users from becoming infected with HIV” Context and progress of the global response to HIV among people who inject drugs, March 2011, UNSW, Sydney, Australia, Burnet Institute

⁴ Bradley Mathers, Louisa Degenhardt and Miriam Sabin; “We can protect drug users from becoming infected with HIV” Context and progress of the global response to HIV among people who inject drugs, March 2011, UNSW, Sydney, Australia, Burnet Institute

თანასწორებზე დაფუძნებული ინტერვენციის სტრატეგიის გამოყენებით ინექციური ნარკოტიკების ერთი მომხმარებლისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი წელიწადში შეადგენს **126 ლარს**

ახალბედა ორგანიზაცია (სხვა ქალაქები)

მიუხედავად იმისა, რომ პრევენციული პაკეტის განფასების შედეგები, აჩვენებს, რომ ახალბედა ორგანიზაციის მიერ ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი ბევრად ნაკლებია გამოცდილ ორგანიზაციებთან შედარებით, აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ის ფაქტი, რომ თავად ორგანიზაციის პოტენციალის და შესაძლებლობების გასავითარებლად/გასაძლიერებლად საკმაოდ ფინანსური რესურსია საჭირო. აივ პრევენციის პროექტის გამოცდილებას თუ გამოვიყენებთ, ეს ხარჯი წელიწადში დაახლოებით **4,500 ლარს** შეადგენს.

ახალბედა ორგანიზაცია, რომელიც ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებთან მუშაობს, არ იყენებს თანასწორებს თანასწორთა გასანათლებლად და შესაბამისად ორგანიზაციაში არ ტარდება თანასწორთა ტრენინგი, რის გამოც პრევენციული პაკეტის ღირებულებაში არ შედის თანასწორთა ტრენინგის ხარჯი.

ახალბედა ორგანიზაციისთვის **სხვა ქალაქებში** ინექციური ნარკოტიკების ერთი მომხმარებლისთვის **ოფისში** პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი წელიწადში შეადგენს **93 ლარს**

აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ახალბედა ორგანიზაციას არ გააჩნია სატრანსპორტო საშუალება, რის გამოც „აუთორიზის“ ჩასატარებლად ორგანიზაცია საზოგადოებრივ ტრანსპორტს იყენებს.

„აუთორიზის“ სტრატეგიის გამოყენებით ახალბედა ორგანიზაციის მიერ ინექციური ნარკოტიკების ერთი მომხმარებლისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი წელიწადში შეადგენს **94 ლარს**

ასეთი მცირე განსხვავება ამ ორი სტრატეგიის ერთეულის ფასში აიხსნება იმით, რომ ორგანიზაციას აუთორიზისთვის ოპერაციული ხარჯი აქვს მინიმალური, არ ჰყავს მძღოლი და სატრანსპორტო საშუალება; „აუთორიზის“ ჩასატარებლად სოციალური მუშაკი დადის საზოგადოებრივი ტრანსპორტით, რისთვისაც თვეში მას ეძლევა 35 ლარი. თვეში საშუალოდ ტარდება 8 გასვლა და საშუალოდ თითოეულ გასვლაზე ტარდება 6 კონსულტირება. შესაბამისად გამოდის რომ ერთ IDU-ზე „აუთორიზის“ თანხა შეადგენს $35:8:6=0.70$ ლარს.

ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე მამაკაცები

საქართველოში ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე მამაკაცებთან აივ-ის პრევენციის კუთხით მუშაობს მხოლოდ ერთი ორგანიზაცია, რომელიც გამოცდილი ორგანიზაციაა. ეს ორგანიზაცია ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე მამაკაცებს პრევენციულ პაკეტს აწვდის რამდენიმე ქალაქში: თბილისში, ბათუმში და ქუთაისში.

ცალ-ცალკე განფასდა პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი იმის მიხედვით, თუ რომელი სტრატეგიით ხდება ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე მამაკაცების მოცვა. (კლიენტს სერვისის მიეწოდება ორგანიზაციის ოფისში, თუ კლიენტის მოცვა ხდება „აუთორიზის“ გზით).

თბილისი

გათვლების შედეგად აღმოჩნდა, რომ თბილისში ორგანიზაციის ოფისში ერთი ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე მამაკაცისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი შეადგენს 124 ლარს

თბილისში „აუთორიზის“ გზით ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე მამაკაცებისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი შეადგენს 149 ლარს

სხვა ქალაქები

სხვა ქალაქებში ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე ერთი მამაკაცისთვის ოფისში პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი 116 ლარია, ხოლო „აუთორიზის“ გზით 140 ლარი

კომერციული სექსის მუშაკი ქალები

გამოცდილი ორგანიზაცია (თბილისი)

თბილისში კომერციული სექსის მუშაკ ქალებთან მუშაობისას ორგანიზაცია არ იყენებს თანასწორბს, რის გამოც თანასწორთა ტრენინგი თბილისში არ ტარდება. შესაბამისად, თბილისში პრევენციული პაკეტის ფასში არ შედის ტრენინგის ხარჯი.

გათვლების შედეგად მივიღეთ, რომ თბილისში, ერთი კომერციული სექს მუშაკ ქალისთვის პრევენციული პაკეტის ოფისში მიწოდების ფასი 91 ლარია, ხოლო იმავე ორგანიზაციის მიერ თბილისში ერთი კომერციული სექსის მუშაკი ქალისთვის „აუთორიზით“, პაკეტის მიწოდების ფასი შეადგენს 104 ლარს

გამოცდილი ორგანიზაცია (სხვა ქალაქები)

სხვა ქალაქებში გამოცდილი ორგანიზაციისთვის ერთი კომერციული სექსის მუშაკი ქალისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასმა ოფისში შეადგინა 89 ლარი, „აუთორიზით“ 101 ლარი.

ახალბედა ორგანიზაცია (სხვა ქალაქები)

სხვა ქალაქებში ერთი კომერციული სექსის მუშაკი ქალისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი ორივე სტრატეგიისთვის თითქმის ერთი და იგივეა და შეადგენს 72 და 73 ლარს.

შეჯამება

თუ ფინანსური გათვლების შედეგებს შევაჯამებთ, შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

- სხვადასხვა რისკ ჯგუფისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი განსხვავებულია
- ერთი და იგივე რისკ ჯგუფისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი განსხვავებულია იმის მიხედვით, პრევენციული ინტერვენცია ხორციელდება თბილისში თუ სხვა ქალაქებში
- პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი დამოკიდებულია იმ ორგანიზაციის გამოცდილებაზე, რომელიც რისკის ჯგუფს პრევენციულ პაკეტს აწვდის და იმ სტრატეგიაზე, რომელი სტრატეგიითაც ხდება რისკის ჯგუფის მოცვა.

სხვადასხვა რისკ-ჯგუფისთვის განკუთვნილი პრევენციული ინტერვენციების ერთეულის ფასში განსხვავება იმით აიხსნება, რომ თითოეული ჯგუფისთვის განსხვავებული სტრატეგია და სერვისები გამოიყენება.

განსხვავება გამოცდილი და ახალბედა ორგანიზაციების მიერ მიწოდებული პრევენციული ინტერვენციების ერთეულის ფასში გამოწვეულია იმით, რომ ამ ორგანიზაციებს სერვისების განსხვავებული პროტოკოლები აქვთ.

ქვემოთ **ცხრილი 4**-ში წარმოდგენილია ინექციური ნარკოტიკების ერთი მომხმარებლისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი (ერთეულის ფასი) ქალაქების და სტრატეგიების მიხედვით:

ცხრილი 4: ინექციური ნარკოტიკების ერთი მომხმარებლისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი ქალაქების და სტრატეგიების მიხედვით

ქალაქი	ორგანიზაცია	სტრატეგია	ერთეულის ფასი (ლარი)
თბილისი	გამოცდილი	სერვისის მიწოდება ოფისში	106
თბილისი	გამოცდილი	„აუთორიზი“	119
თბილისი	გამოცდილი	PDI	133
სხვა ქალაქები	გამოცდილი	სერვისის მიწოდება ოფისში	102
სხვა ქალაქები	გამოცდილი	„აუთორიზი“	116
სხვა ქალაქები	გამოცდილი	PDI	126
სხვა ქალაქები	ახალბედა	სერვისის მიწოდება ოფისში	93
სხვა ქალაქები	ახალბედა	„აუთორიზი“	94

ქვემოთ **ცხრილი 5**-ში წარმოდგენილია ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე ერთი მამაკაცისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი ქალაქების მიხედვით:

ცხრილი 5: ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე ერთი მამაკაცისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი ქალაქების და სტრატეგიების მიხედვით

ქალაქი	ორგანიზაცია	სტრატეგია	ერთეულის ფასი (ლარი)
--------	-------------	-----------	----------------------

თბილისი	გამოცდილი	სერვისის მიწოდება ოფისში	124
თბილისი	გამოცდილი	„აუთორიზი“	149
სხვა ქალაქები	გამოცდილი	სერვისის მიწოდება ოფისში	116
სხვა ქალაქები	გამოცდილი	„აუთორიზი“	140

ცხრილი 6 ქვემოთ წარმოადგენს კომერციული სექსის მუშაკი ერთი ქალისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასს ქალაქების მიხედვით:

ცხრილი 6: კომერციული სექსის მუშაკი ერთი ქალისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ფასი ქალაქების და სტრატეგიების მიხედვით

ქალაქი	ორგანიზაცია	სტრატეგია	ერთეულის ფასი (ლარი)
თბილისი	გამოცდილი	სერვისის მიწოდება ოფისში	91
თბილისი	გამოცდილი	„აუთორიზი“	104
სხვა ქალაქები	გამოცდილი	სერვისის მიწოდება ოფისში	89
სხვა ქალაქები	გამოცდილი	„აუთორიზი“	101
სხვა ქალაქები	ახალბედა	სერვისის მიწოდება ოფისში	72
სხვა ქალაქები	ახალბედა	„აუთორიზი“	73

ვინაიდან თითოეული რისკის ჯგუფისთვის პრევენციული პაკეტის მიწოდების ერთეულის ფასი ვარირებს ქალაქების მიხედვით (თბილისი და სხვა ქალაქები), ფასი დამოკიდებულია იმაზე, გამოცდილი თუ ახალბედა ორგანიზაცია ახორციელებს სერვისს, და სერვისის მისაწოდებლად გამოყენებულ სტრატეგიაზე, განისაზღვრა ყველა სტრატეგიის შეწონილი საშუალო ფასი ქალაქების და ორგანიზაციის გამოცდილების მიხედვით. შეწონილი საშუალო ფასი დაანგარიშდა ცალკე თბილისისთვის და ცალკე სხვა ქალაქებისთვის. შეწონილი საშუალო ფასის დასაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა 2011 წელს თითოეული რისკის ჯგუფის მოცვის მაჩვენებლები. ერთეულის ფასის შეწონილი საშუალო წარმოდგენილია ქალაქების მიხედვით და ორგანიზაციების გამოცდილების მიხედვით (**ცხრილი 7**)

ცხრილი 7: ინექციური ნარკოტიკების ერთი მომხმარებლისთვის პრევენციული პაკეტის შეწონილი საშუალო ფასის გამოთვლა ქალაქების და ორგანიზაციის გამოცდილების მიხედვით

თბილისი- გამოცდილი ორგანიზაცია				
სტრატეგია	ერთ. ფასი	მოცვა		შეწ.საშ.
ოფისი	106	981	103,649	
„აუთორიზი“	119	417	49,607	
თანასწორებზე დაფუძნებული ინტერვენცია	133	1,065	141,918	
		2,463	295,175	120
სხვა ქალაქები- გამოცდილი ორგანიზაცია				
ოფისი	102	178	18,243	
„აუთორიზი“	116	93	10,769	
თანასწორებზე დაფუძნებული ინტერვენცია	126	213	26,857	
		484	55,869	115
სხვა ქალაქები- ახალბედა ორგანიზაცია				

ოფისი	93	211	19,642	
აუთორიზი	94	140	13,163	
		351	32,805	93

ცხრილი 8: ჰომო/ბისექსუალური ქცევის მქონე ერთი მამაკაცისთვის პრევენციული პაკეტის შეწონილი საშუალო ფასის გამოთვლა ქალაქების მიხედვით

თბილისი				
სტრატეგია	ერთ. ფასი	მოცვა		შეწ.საშ.
ოფისი	124	120	14,925	
აუთორიზი	149	77	11,436	
		197	26,361	134
სხვა ქალაქები				
ოფისი	116	36	4,173	
აუთორიზი	140	167	23,370	
		203	27,543	136

ცხრილი 9: ერთი კომერციული სექსის მუშაკი ქალისთვის პრევენციული პაკეტის შეწონილი საშუალო ფასის გამოთვლა ქალაქების და ორგანიზაციის გამოცდილების მიხედვით

თბილისი- გამოცდილი ორგანიზაცია				
სტრატეგია	ერთ. ფასი	მოცვა		შეწ.საშ.
ოფისი	91	50	4,550	
აუთორიზი	104	198	20,567	
		248	25,117	101
სხვა ქალაქები-გამოცდილი ორგანიზაცია				
ოფისი	89	54	4,806	
აუთორიზი	101	285	28,791	
		339	33,597	99
სხვა ქალაქები-ახალბედა ორგანიზაცია				
ოფისი	72	107	7,704	
აუთორიზი	73	72	5,256	
		179	12,960	72

1. UNAIDS, ADB; Costing Guidelines for HIV/AIDS Intervention Strategies; For use in estimating Resource Needs Scaling-up and Strategic Planning in the Asia/Pacific region, February, 2004
2. UNAIDS, Costing Guidelines for HIV Prevention Strategies, October, 2000
3. Partners for Health Reform*plus*; A step by step Methodological Guide for Costing HIV activities, March, 2001
4. Bradley Mathers, Louisa Degenhardt and Miriam Sabin; “We can protect drug users from becoming infected with HIV” Context and progress of the global response to HIV among people who inject drugs, March 2011, UNSW, Sydney, Australia, Burnet Institute

**დანართი 1: მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტი ინექციური
ნარკოტიკების მომხმარებლებისათვის (ინმ)**

	ქალაქები					
	თბილისი	თელავი	ბათუმი	ზუგდიდი	ქუთაისი	რუსთავი
2011 წელს მოცული ინმ-ების ჯამური რაოდენობა						
ინმ-ების რ-ბა, ვინც ჩაიტარა ნკტ 2011 წელს						
ინმ-ების რ-ბა, ვინც მიიღო კონდომი 2011 წელს						
ინმ-ების რ-ბა, ვინც მიიღო შპრიცები 2011 წელს						
ინმ-ების რ-ბა, ვინც მიიღო საინფორმაციო მასალა 2011 წელს						
2011 წელს ერთ ინმ-ზე გაცემული კონდომების საშუალო რაოდენობა						
2011 წელს ერთ ინმ-ზე გაცემული ლიფლეტების საშუალო რაოდენობა						
2011 წელს ერთ ინმ-ზე გაცემული ფლაიერების საშუალო რაოდენობა						
2011 წელს ერთ ინმ-ზე გაცემული შპრიცების საშუალო რაოდენობა						
აუთრიჩი						
კონსულტანტის თვიური ხელფასი						
1 თვის განმავლობაში განხორციელებული აუთრიჩის საშუალო რაოდენობა						
1 აუთრიჩის დროს მოცული ინმ-ების საშუალო რ-ბა						
1 აუთრიჩის დროს გავლილი კილომეტრების საშუალო რ-ბა						
მძღოლის ხელფასი						
თანასწორთა განათლება						
ტრენინგში მონაწილეობისათვის 1 თანასწორგანმანათლებლისთვის მიცემული ფულადი წახალისების ოდენობა						
1 ტრენინგზე ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა						
წლის განმავლობაში ჩატარებული ტრენინგების რ-ბა						
ტრენინგის კვების ხარჯი 1 მონაწილეზე						
ტრენინგის ხელფასი 1 ტრენინგზე						
ოფისი						

კონსულტანტის თვითური ხელფასი						
კონსულტაციების საშუალო წლიური რაოდენობა						
კონსულტანტების რაოდენობა						
ნარკოლოგის თვითური ხელფასი						
ორგანიზაციის დირექტორის თვითური ხელფასი						
ფინანსური დირექტორის თვითური ხელფასი						
ბუღალტრის თვითური ხელფასი						
დამლაგებლის თვითური ხელფასი						
პროექტის კოორდინატორის თვითური ხელფასი						
განმეორებადი ხარჯები						
ოფისის იჯარა						
ელექტროენერგიის, გაზის, წყლის ხარჯები						
კომუნიკაციის ხარჯები						
საკანცელარიო მასალის ხარჯები						
მასალა						
კონდომის ღირებულება						
შპრის ღირებულება						
ლიფლეტის ღირებულება						
ფლაიერის ღირებულება						
აივ ტესტის ღირებულება						
HBV ტესტის ღირებულება						
HCV ტესტის ღირებულება						
ტესტირებისათვის საჭირო მასალის (სპირტი, ბამბა) ღირებულება						

დანართი 2: მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტი კომერციული სექსის მუშაკი (კსმ) ქალებისათვის

	ქალაქები				
	თბილისი	ბათუმი	ზუგდიდი	ქუთაისი	რუსთავი
2011 წელს მოცული კსმ-ების ჯამური რაოდენობა					
კსმ-ების რ-ბა, ვინც ჩაიტარა ნკტ 2011 წელს					
კსმ-ების რ-ბა, ვინც მიიღო კონდომი 2011 წელს					
კსმ-ების რ-ბა, ვინც მიიღო საინფორმაციო მასალა 2011 წელს					
2011 წელს ერთ კსმ-ზე გაცემული კონდომების საშუალო რაოდენობა					
2011 წელს ერთ კსმ-ზე გაცემული ლიფლეტების საშუალო რაოდენობა					
2011 წელს ერთ კსმ-ზე გაცემული ფლაიერების					

საშუალო რაოდენობა					
ავტორიზი					
კონსულტანტის თვითური ხელფასი					
1 თვის განმავლობაში განხორციელებული ავტორიზის საშუალო რაოდენობა					
1 ავტორიზის დროს მოცული კსმ-ების საშუალო რ-ბა					
1 ავტორიზის დროს გავლილი კილომეტრების საშუალო რ-ბა					
მძღოლის ხელფასი					
თანასწორთა განათლება					
ტრენინგში მონაწილეობისათვის 1 თანასწორგანმანათლებლისთვის მიცემული ფულადი წახალისების ოდენობა					
1 ტრენინგზე ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა					
წლის განმავლობაში ჩატარებული ტრენინგების რ-ბა					
ტრენინგის კვების ხარჯი 1 მონაწილეზე					
ტრენინგის ხელფასი 1 ტრენინგზე					
ოფისი					
კონსულტანტის თვითური ხელფასი					
კონსულტაციების საშუალო წლიური რაოდენობა					
კონსულტანტების რაოდენობა					
ორგანიზაციის დირექტორის თვითური ხელფასი					
ფინანსური დირექტორის თვითური ხელფასი					
ბუღალტრის თვითური ხელფასი					
დამლაგებლის თვითური ხელფასი					
პროექტის კოორდინატორის თვითური ხელფასი					
განმეორებადი ხარჯები					
ოფისის იჯარა					
ელექტროენერგიის, გაზის, წყლის ხარჯები					
კომუნიკაციის ხარჯები					
საკანცელარიო მასალის ხარჯები					
მასალა					
კონდომის ღირებულება					
ლიფლეტის ღირებულება					
ფლაიერის ღირებულება					
აივ ტესტის ღირებულება					
ტესტირებისათვის საჭირო მასალის (სპირტი, ბამბა) ღირებულება					

დანართი 3: მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტი ჰომო-ბისექსუალური ქცევის მექონე მამაკაცებისათვის (მსმ)

	ქალაქები			
	თბილისი	ბათუმი	ზუგდიდი	ქუთაისი
2011 წელს მოცული კსმ-ების ჯამური რაოდენობა				
მსმ-ების რ-ბა, ვინც ჩაიტარა ნკტ 2011 წელს				
მსმ-ების რ-ბა, ვინც მიიღო კონდომი 2011 წელს				
მსმ-ების რ-ბა, ვინც მიიღო საინფორმაციო მასალა 2011 წელს				
2011 წელს ერთ მსმ-ზე გაცემული კონდომების საშუალო რაოდენობა				
2011 წელს ერთ მსმ-ზე გაცემული ლიფლეტების საშუალო რაოდენობა				
2011 წელს ერთ მსმ-ზე გაცემული ფლაიერების საშუალო რაოდენობა				
აუთრიჩი				
კონსულტანტის თვიური ხელფასი				
1 თვის განმავლობაში განხორციელებული აუთრიჩის საშუალო რაოდენობა				
1 აუთრიჩის დროს მოცული მსმ-ების საშუალო რ-ბა				
1 აუთრიჩის დროს გავლილი კილომეტრების საშუალო რ-ბა				
მძღოლის ხელფასი				
თანასწორთა განათლება				
ტრენინგში მონაწილეობისათვის 1 თანასწორგანმანათლებლისთვის მიცემული ფულადი წახალისების ოდენობა				
1 ტრენინგზე ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა				
წლის განმავლობაში ჩატარებული ტრენინგების რ-ბა				
ტრენინგის კვების ხარჯი 1 მონაწილეზე				
ტრენინგის ხელფასი 1 ტრენინგზე				
ოფისი				
კონსულტანტის თვიური ხელფასი				
კონსულტაციების საშუალო წლიური რაოდენობა				
კონსულტანტების რაოდენობა				

ორგანიზაციის დირექტორის თვითური ხელფასი				
ფინანსური დირექტორის თვითური ხელფასი				
ბუღალტრის თვითური ხელფასი				
დამლაგებლის თვითური ხელფასი				
პროექტის კოორდინატორის თვითური ხელფასი				
განმეორებადი ხარჯები				
ოფისის იჯარა				
ელექტროენერგიის, გაზის, წყლის ხარჯები				
კომუნიკაციის ხარჯები				
საკანცელარიო მასალის ხარჯები				
მასალა				
კონდომის ღირებულება				
ლიფტის ღირებულება				
ფლაიერის ღირებულება				
აივ ტესტის ღირებულება				
ტესტირებისათვის საჭირო მასალის (სპირტი, ბამბა) ღირებულება				

